

მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების და დამთავრებული მშენებლობის შესახებ

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი მრეწველობის, მშენებლობისა და ენერჯეტიკის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ალექსანდრე არაბული მარინე გოგოლაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი მრეწველობის, მშენებლობისა და ენერჯეტიკის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	aarabuli@geostat.ge mgogoladze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (200) +995 32 236 72 10 (208)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2022 წ. 22 ივლისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2022 წ. 22 ივლისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2022 წ. 22 ივლისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
<p>მშენებლობის სპეციალიზებული კვარტალური გამოკვლევის ფარგლებში ქვეყნდება შემდეგი მაჩვენებლები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა ობიექტების ტიპების მიხედვით; 2. სამშენებლო ობიექტების საერთო ფართობი ობიექტების ტიპების მიხედვით; 3. დასრულებული ობიექტების რაოდენობა ობიექტების ტიპების მიხედვით; 4. დასრულებული ობიექტების საერთო ფართობი ობიექტების ტიპების მიხედვით. <p>აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე. მშენებლობაზე გაცემული ნებართვები მოიცავს როგორც ახალ მშენებლობას, ისე რეკონსტრუქციას. დასრულებული ობიექტები მოიცავს მხოლოდ ექსპლუატაციაში მიღებულ ობიექტებს.</p>	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
-	
3.3. სექტორის მოცვა	
გამოკვლევა მოიცავს მშენებლობაზე ნებართვის გამცემ ყველა ორგანოს: ადგილობრივ არქიტექტურულ სამსახურებს, ურბანული დაგეგმარების სამსახურებს და ზედამხედველობის სამსახურებს.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>მშენებლობის ნებართვა – უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით გარკვეული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც გაიცემა ობიექტზე და წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს.</p> <p>სანებართვო ობიექტი – სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განსათავსებელი შენობა-ნაგებობები (მათ შორის ხაზოვანი), მათი ჯგუფი ან/და კომპლექსი, რომელიც უნდა შეიქმნას მშენებლობის შედეგად ან/და რომელზეც უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები.</p> <p>მშენებლობით დამთავრებული ობიექტი – მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული ობიექტი, მათ შორის შენობა-ნაგებობების ცალკეული, დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობა ან ერთი ტექნოლოგიური პროცესით დაკავშირებული მათი ჯგუფი, რომელზეც დასრულებულია საპროექტო</p>	

<p>დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოები ისე, რომ მათი ფუნქციონირება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა შენობა-ნაგებობათა კომპლექსში.</p> <p>დამკვეთი (მენაშენი) – ინვესტორისგან უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც ახდენს საინვესტიციო პროექტის რეალიზაციას. თუ დამკვეთი არ არის ინვესტორი, მაშინ მას ენიჭება ინვესტიციების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებები გარკვეულ პერიოდსა და საზღვრებში, რაც ასახული უნდა იყოს ხელშეკრულებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი.</p>
<p>3.5. სტატისტიკური ერთეული</p> <p>მშენებლობაზე ნებართვის გამცემი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები – ადგილობრივი არქიტექტურული სამსახურები, ურბანული დაგეგმარების სამსახურები და ზედამხედველობის სამსახურები.</p>
<p>3.6. სტატისტიკური პოპულაცია</p> <p>გამოკვლევა ტარდება სრული მოცვით და მოიცავს მშენებლობაზე ნებართვის გამცემი ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს და ზედამხედველობის სამსახურს.</p>
<p>3.7. საანგარიშო არეალი</p> <p>საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.</p>
<p>3.8. დროის მოცვა</p> <p>2006 წლიდან.</p>
<p>3.9. საბაზო პერიოდი</p> <p>-</p>
<p>4. ზომის ერთეული</p> <p>რაოდენობა; კვ. მ.</p>
<p>5. საანგარიშო პერიოდი</p> <p>კვარტალი.</p>
<p>6. ინსტიტუციური მანდატი</p>
<p>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</p> <p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p>
<p>6.2. მონაცემთა გაზიარება</p> <p>-</p>
<p>7. კონფიდენციალურობა</p>
<p>7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა</p> <p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის

<p>ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. <p>https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</p>
<p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p>
<p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p>
<p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
<p>7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა</p> <ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
<p>8. გამოქვეყნების პოლიტიკა</p>
<p>8.1. გამოქვეყნების კალენდარი</p> <p>მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>
<p>8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა</p> <p>https://www.geostat.ge/ka/calendar</p>
<p>8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა</p> <p>მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.</p>
<p>9. გავრცელების სიხშირე</p> <p>კვარტალი.</p>
<p>10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</p>
<p>10.1. პრეს-რელიზები</p> <p>პრეს-რელიზი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.geostat.ge/ka/news</p>
<p>10.2. პუბლიკაციები</p> <p>-</p>
<p>10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა</p> <p>-</p>
<p>10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა</p> <p>-</p>
<p>10.5. სხვა</p> <p>-</p>
<p>10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე</p> <p>მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/121/methodologia-biznes-statistika</p>
<p>10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ</p> <p>-</p>
<p>11. ხარისხის მართვა</p>
<p>11.1. ხარისხის უზრუნველყოფა</p> <p>სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).</p>

11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემები ეყრდნობა არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურების მიერ მოწოდებულ მონაცემებს.
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-
14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30-ე დღეს.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2. შესადარისობა – დროში
დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
მონაცემები თანამიმდევრულია.
16. დანახარჯები და დატვირთვა
მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროების მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
სპეციალიზებული კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევის შევსებული კითხვარი.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
კვარტალური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
მონაცემთა შეგროვება ხდება ელექტრონული კითხვარებით.
18.4. მონაცემთა კონტროლი
რედაქტირების შიდა პროგრამაში ხდება ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ცალკეული ობიექტების მონაცემების დამუშავება, კოდირება და ჩაწერა. საჭიროების შემთხვევაში ხდება შედარება წინა პერიოდების მონაცემებთან.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
პროგრამულად ჯამდება ცალკეული ობიექტების მონაცემები.
18.6. მოსწორება
არ გამოიყენება.
19. კომენტარი
-